იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოთა ხელოვნება

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 4 (188)

თებერვალი, 1968 წელი



თბილისი, საქართველოს სსრ მთავრობის სახლი.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

47 წლის სიკეთე

გიორგი ძოწენიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის მაგალითია. ამის მოწმეა მატიანეები, კლდეებში გამოკვეთილი ციხე-ქალაქები, დანგრეული ციხე-სიმაგრეები. საქართველოს მადლიანი მიწის ყოველი მტკაველი გაჟღენთილია ჩვენი მებრძოლი, შრომისმოყვარე წინაპრების გმირული სისხლით, რომლებმაც ჩვენი თავისუფლება, კულტურა, ენა განუწყვეტელი ომების ქარცეცხლში გამოატარეს და შეგვინარჩუნეს.

ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველო გმინავდა მეფის რუსეთის უღელქვეშ. იდევნებოდა ქართული ენა. ქვეყანა იყო ჩამორჩენილი, აგრარული, ყოველ ნაბიჯზე მეფობდა ჩაგვრა და უსამართლობა. სწავლა-განათლების უფლება მხოლოდ მემამულეების, თავადაზნაურების შვილებს ჰქონდათ.

საქართველოში საბჭოებს მძიმე მემკვიდრეობა დახვდათ. დანგრეული მეურნეობა, დამხობილი ექსპლოატატორული კლასების ბოროტი წარმომადგენლების წინააღმდეგობა, ინტერვენციის საშიშროება — ყოველივე ეს დიდ სიძნელეებს ქმნიდა ახალი წყობილების აშენების საქმეში.

მაგრამ სულ მოკლე ხანში ჩამორჩენილი, სუსტად განვითარებული ეკონომიკის მქონე საქართველო გარდაიქმნა ერთ-ერთ მძლავრ რესპუბლიკად — მოწინავე, მძიმე ინდუსტრიის, განვითარებული სოფლის მეურნეობის და მაღალი კულტურის მქონე რესპუბლიკად. საქართველოს მშრომელებმა თავისუფლად გაშალეს მხრები, ამოისუნთქეს და მაღალი შემართებით ქმნიან მრავალგვარ მატერიალურ დოვლათს, ბარაქას და თვითონაც სულ უკეთ და უკეთ ცხოვრობენ.

შედარებაც არ შეიძლება იმისა, რა იყო წინათ საქართველო და რა არის ახლა. ქვეყანა, სადაც წინათ გლეხის საწარმოო იარაღს მხოლოდ კავი და თოხი, ბარი და ნამგალი შეადგენდა და სადაც მრეწველობის პროდუქცია მხოლოდ ნამგლებით, კლიტეებითა და სხვა წვრილმანი საოჯახო ნივთებით იფარგლებოდა, სადაც მხოლოდ კუსტარული წარმოება არსებობდა, გადაიქცა მეტალურგიული, მანქანათმშენებელი და დაზგათმშენებელი, ელმავალმშენებელი, საავტომობილო და ფეროშენადნობთა ქარხნებისა და ქიმიური კომბინატების ქვეყნად. საქართველო გახდა ისეთი მოწინავე ქვეყანა, სადაც ამზადებენ თუჯსა და ფოლადს, ნაგლინსა და ფოლადის მილებს, ელმავლებსა და ავტომობილებს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, სინთეზურ ამიაკს, კოქსს, მინერალურ სასუქებს, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს, კონსერვებს, სარეცხ მანქანებს, ფეხსაცმელს, ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებს, ჩაის, ღვინოებს, კონიაკებს და მძიმე, მსუბუქი, კვებისა და საფეიქრო მრეწველობის სხვა მრავალი სახის პროდუქციას, რომელთა გამოშვება ყოველწლიურად იზრდება.

ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ქართველი კაცი ვერც კი ინატრებდა იმას, რომ საქართველოში დამზადებული იყო მძლავრი სამგაისტრალო ელმავლები და წარმოების საქმეში გაგვესწრო ისეთი მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, როგორიც საფრანგეთია. ეს ამბავი უკვე დიდი ხანია ფაქტად იქცა, მაგრამ იგი აღარავის არ უკვირს. ასევე სამიოდე ათეული წლის წინათ მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა საქართველოში ავტომობილების წარმოებაზე. ახლა კი ავტომობილები ქუთაისის მარკით მთელი საბჭოთა კავშირის გზებს და საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნის გზებსაც სერავენ.

ცნობილია, რომ სახალხო მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია მძლავრი ენერგეტიკული ბაზის უქონლად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში სულ რამდენიმე ელექტროსადგური მოქმედებდა, რომელთა სიმძლავრე 8.000 კილოვატს უდრიდა, **ხოლო** ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება 20 მილიონ კილოვატსაათს შეადგენდა. ახლა ასეთი სიმძლავრის ელექტროსადგურებს კოლმეურნეობები აშენებენ. გასულ წელს ყოველ ორ დღეში გამომუშავებული ელექტროენერგია — 30 მილიონი კილოვატ-საათი — ერთხანგავრჯერ აღემატებოდა საბჭოთა წყობილების დამყარებამდე ყოველწლიურად გამოშვებული ელექტროენერგიის რაოდენობას. და, მიუხედავად ამისა, ის მაინც არ გვყოფნის. ამიტომ არის, რომ დაგეგმილია მრავალი ახალი ელექტროსადგურის მშენებლობა, მათ შორის არის ენგურის ჰიდროელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე — 1.630 ათასი კილოვატი — თითქმის ორჯერ მეტი იქნება ამჟამად არსებული ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრეზე. ენგურჰესი რესპუბლიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი სამშენებლო ობიექტია. მის აგებაზე ახლა მუშაობს მრავალათასიანი კოლექტივი, აღჭურვილი თანამედროვე სამშენებლო მანქანებით.

გასულ, 1967 წელს მრეწველობის პროდუქციის გამოშვების გეგმა ჩვენს რესპუბლიკაში 103 პროცენტით შესრულდა. მთელი სამრეწველო პროდუქციის გამოშვება წინა წელთან შედარებით გაიზარდა 8 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 4 პროცენტით.

მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებულია თუჯის, ფოლადის, კოქსის, მარგანეცის მადნის, მინერალური სასუქების, კაპროლაქტამის, ლითონსაჭრელი ჩარხების, ცემენტის, შიფერის, ქსოვილების, ტყავის ფეხსაცმლის, ხორცის, ჩაის, ღვინის, რძის და სხვ. ნაწარმის გამოშვების გეგმები. მარტო ცემენტი, რომლის წარმოება ჩვენში 1936 წელს დაიწყო, გასულ წელს წარმოებულ იქნა 1.480 ათას ტონამდე, თერთმეტჯერ მეტი, ვიდრე 1963 წელს. მრავალმეტყველია ის გარემოებაც, რომ ამჟამად საქართველო ორჯერ მეტ ლითონსაჭრელ ჩარხებს უშვებს, ვიდრე მთელი რევოლუციამდელი რუსეთი 1913 წელს აწარმოებდა.

საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობას მოწმობს ისიც, რომ გასულ წელს საქართველოში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა: 600 ათას კვ. მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 20 ათასზე მეტი მოსწავლის ადგილით, რაც წლიური გეგმის 120 პროცენტს შეადგენს; სკოლამდელი დაწესებულებები 4.880 ბავშვის ადგილით, საავადმყოფოები და პოლიკლინიკები 860 საწოლით და სხვა მრავალი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში არანაკლები მიღწევებია მოპოვებული საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. შექმნილია მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობები: კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. კოლმეურნეობები შეიქმნა წვრილი დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობების ბაზაზე. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მექანიზაციისა და მეცნიერების მიღწევათა ფართოდ დანერგვის, ახალი სათესი ფართობების ათვისების, მელიორაციული სამუშაოების შესრულებისა და ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვის შედეგად სახალხო მეურნეობის მაღალშემოსავლიან დარგად იქცა.

შეიქმნა სავსებით ახალი დარგები — მეჩაიეობა, მეციტრუსეობა და სხვ. მაგალითად, 1921 წლისათვის ჩაის პლანტაციების ფართობი რესპუბლიკაში 1.000-მდე ჰექტარი იყო, ხოლო მოკრეფილი ჩაის ფოთლის რაოდენობა 550 ტონას უდრიდა. დღეისათვის ჩაის პლანტაციები გადაჭიმულია თითქმის 70 ათას ჰექტარზე, ხოლო მოკრეფილი ნარისხოვანი ჩაის ფოთლის რაოდენობამ გასულ წელს 222 ათას ტონას გადააჭარბა და გეგმის ზვითი 22 ათას ტონაზე მეტი ჩაბარდა სახელმწიფოს. ასევე გაიზარდა ციტრუსების, ტუნგოს, თამბაქოს, ტექნიკური კულტურების წარმოება. შემდგომი განვითარება ჰპოვეს საქართველოს სოფლის მეურნეობის ისეთმა ძველმა დარგებმა, როგორიც არის მევენახეობა, მებაღეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა. ყოველწლიურად იზრდება საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე. მაღლდება მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

სახალხო მეურნეობის ასეთი განვითარების შედეგად ჩვენს რესპუბლიკას საშუალება მიეცა მრავალი სახის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გამოეყენებინა არა მარტო თავისი საჭიროებისათვის, არამედ გაეგზავნა საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაშიც. ცნობილია, რომ სამრეწველო პროდუქცია საქართველოს სსრ მარკით იგზავნება საზღვარგარეთის 60-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის ავსტრიასა და ინგლისში, ბირმასა და ბრაზილიაში, საბერძნეთსა და იტალიაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, შვეიცარიაში, ფინეთში და სხვ. თუ ადრე საქართველოს ექსპორტის ტრადიციული საქონელი იყო მარგანეცის მადანი და ღვინო, ახლა რესპუბლიკა საზღვარგარეთ გზავნის 200-მდე დასახელების სამრეწველო პროდუქციას, მათ შორის სახარატო, საგლინავ და გაზრდილი სიზუსტის სპეციალურ ჩარხებს, ელექტროძრავებს, ელექტროამწეებს, სიჩქარისმზომებს და სხვ.

ჩვენს რესპუბლიკაში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, უმაგალითო სიმაღლეს მიაღწია მოსახლეობის მატერიალურმა და კულტურულმა დონემ. ვისაც დიდი ხანია არ უნახავს საქართველოს ქალაქები და სოფლები, რომ მოინდომოს და მოინახულოს ისინი, ვეღარ იცნობს მათ. დაწყებული ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქით და დამთავრებული ყველაზე შორეული სოფლით, ყველა დასახლებულ პუნქტს მკვეთრად აქვს შეცვლილი სახე, ისინი გაზრდილი და გალამაზებულია.

1914 წელს საქართველოში სულ 1.700-მდე სკოლა იყო, რომლებშიც 156 ათასი მოსწავლე სწავლობდა, აქედან 126 ათასი—დაწყებითის სკოლებში. მასწავლებელთა რაოდენობა კი 5.900-ს აღწევდა. იყო რამდენიმე ბიბლიოთეკა. ახლა 5.000-ზე მეტ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში 928 ათასი მოსწავლეა, რომლებსაც 70 ათასამდე მასწავლებელი ასწავლის. საქართველოს ყოველი მეოთხე მოქალაქე სწავლობს, მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 15 პედაგოგი მოდის. ქართველ ხალხს ემსახურება ათასობით ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნის ფონდი 50 მილიონ ეგზემპლარს ითვლის. უამრავია კლუბები, სამკითხველოები, თეატრები, კინოთეატრები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.


გვაქვს მეცნიერებათა აკადემია, 200-მდე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, სადაც 600-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და 4 ათასამდე მეცნიერებათა კანდიდატი მუშაობს. მსოფლიო სახელი მოიპოვეს ქართველმა მათემატიკოსებმა, ფიზიკოსებმა, ენათმეცნიერებმა, ისტორიკოსებმა, გეოლოგებმა და მრავალმა სხვამ.

შესანიშნავი გზა განვლო ქართულმა













საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ. ჩვენი ეროვნული პოეზის, პოეზიის და დრამატურგიის მრავალი ნაწარმოები შესულია საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდში. ქართულმა ხელოვნებამ ფართოდ გაითქვა სახელი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაშიც, მსოფლიო სახელი აქვს მოპოვებული მრავალ ქართველ სპორტსმენს. ისინი საერთაშორისო სარბიელზე დიდების შარავანდედით მოსავენ საბჭოთა სპორტს.

საქართველოში დიდი მუშაობაა გაწეული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე დგას 16 ათასამდე ექიმი და 37 ათასი საშუალო სამედიცინო პერსონალი. ყოველ 1.000 კაცზე 34,6 ექიმი მოდის, მეტი, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში.

საქართველო ყოველდღიურად მშვენიერდება. ჩვენს თხუთმეტასეულოვან დედაქალაქ თბილისში მრავალი შესანიშნავი შენობა აიგო, გაშენდა ახალი საცხოვრებელი კვარტალები. ჩვენს ქალაქს ამშვენებს ახალგაზრდა მეტროპოლიტენი, რომლის მეორე რიგი გასულ წელს ამუშავდა. დამთავრდა მაღლივი სასტუმრო „ივერიის“ მშენებლობა. დიდი მიღწევებია რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებშიც.

აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობამ, რომელიც რევოლუციამდე ჩამორჩენილი, უსწავლელი იყო, დღეს მაღალ მეცნიერულ და კულტურულ დონეს მიაღწია. იქ მშრომელები წლითიწლობით ავითარებენ სოციალისტურ ეკონომიკას და ქმნიან უფრო და უფრო მეტ მატერიალურ დოვლათს, აღმოიფხვრა წერაკითხვის უცოდინარობა, გაიხსნა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლებლები, სკოლები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, ამუშავდა ბევრი სამრეწველო საწარმო, აყვავდა სოფლის მეურნეობა, გაშენდა მრავალი კურორტი. სადაც ასეულ ათასობით მშრომელი მკურნალობს და ისვენებს.

გრანდიოზულია ის მიღწევები, რაც საქართველომ მოიპოვა საბჭოთა ხალხების დიად ძმურ ოჯახში, მაგრამ კიდევ უფრო დიდებული და ბრწყინვალეა მომავალი. მომდინარე ხუთწლედში საქართველოს სამრეწველო წარმოების მოცულობა გადიდდება 1,6-ჯერ, საექსპლოატაციოდ გადაეცემა 60 ათასი ჰექტარი სარწყავი ფართობი, 52 ათას ჰექტარზე გაშენდება ვენახები, ხეხილის ბაღები, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, შეიქმნება მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზა, შემდგომ განვითარდება ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა.

1966-1970 წლებში უნდა დასრულდეს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ელექტროფიკაცია. 1970 წელს, 1965 წელთან შედარებით, მაგისტრალური გახსნადენების სიგრძე თითქმის გაორკეცდება. სამრეწველო პროდუქციის წარმოება მომდინარე ხუთწლედში გაიზრდება 60 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება — ორჯერ.

გათვალისწინებულია აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 4.657 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე წინა ხუთწლეულში. დიდი ყურადღება დაეთმობა საავადმყოფოების, სბავშვო ბაღების, სკოლების, კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობას. მომდინარე ხუთწლედის პირველი ორი წლის მიღწევათა მაჩვენებლები იმის მაუწყებელია, რომ წარმატებით შესრულდება 1966-1970 წლების გეგმა.

აქ წარმოდგენილი ფაქტებითაც კი ნათელი ხდება, თუ რა უდიდესი წარმატებები მოიპოვა საბჭოთა საქართველომ გასული ორმოცდაშვიდი წლის მანძილზე და რა ბრწყინვალე მომავალი აქვს მას.

დიდი მეურნეობა

გარდაბნიდან რამდენიმე კილომეტრზე, ოდესღაც უნაყოფო მიწებზე გადაჭიმულა სამგორის მეცხოველეობის ჯიშთასანაშენე საბჭოთა მეურნეობა. დიდი მეურნეობაა! 35 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები! აქედან დაახლოებით რვა ათასი ჰექტარი სარწყავია. პურისა და სიმინდის ყანები, ბალახის ნათესები. გარშემო ხშირი ტყესაცავი ზოლებია.

მეურნეობის მთავარი მიმართულება მეცხოველეობაა. ტყუილად კი არ უწოდებენ მას ხორცის ფაბრიკას. აქ რესპუბლიკის ყველაზე დიდი განყოფილებაა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის გასასუქებლად. იგი შექმნილია იმ ვარაუდით, რომ რაც შეიძლება პირუტყვის მოვლა-შენახვის პროცესების მექანიზაცია, შემსუბუქდეს ადამიანთა შრომა. ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სპეციალისტებმა და მეცნიერებმა.

ნასუქი პირუტყვის მრავალრიცხოვანი ჯოგები მიდიან საბჭოთა მეურნეობიდან პირუტყვის სახელმწიფო მიმღებ პუნქტებში. აი წელსაც, — გვიამბობს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. კორძაძე, — გავასუქებთ 6 ათას სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს. ახლა გაძლიერებით ვასუქებთ ათას სულ პირუტყვს. ისინი სწრაფად მატულობენ წონაში: 522 გრამი ყოველდღე, 15,5 კილოგრამი თვეში.

ხორცის წარმოების კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი რეზერვია 45 ათასი სული ცხვარი. ასეთია მეურნეობის ფარების სულადობა.

წლითიწლობით საბჭოთა მეურნეობა იზრდება, იკრებს ძალებს, ზრდის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას. უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში ხორცის წარმოება გაიზარდა ორნახევარჯერ. გასულ წელს საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის შედეგად მიიღო 2.200 ათასი მანეთი.

შარშანდელი წელი ალინიშნა კიდევ ერთი წარმატებით. გადაჭარბებით შესრულდა ყველა ვალდებულება. სახელმწიფომ მიიღო 10.100 ცენტნერი ხორცი, 4.819 ცენტნერი რძე, 3.450 ცენტნერი მარცვალი, 647 ათასი კვერცხი.

რიცხობრივ მაჩვენებლებთან ერთად წარმატებით შესრულდა ხარისხობრივი მოთხოვნები: ხორცი კარგი სომსუქისაა, მარცვალი — საუკეთესო ჯიშებისა. სისტემატურად მცირდება პროდუქციის თვითღირებულება. ცენტნერი ხორცის წარმოებაზე იხარჯება 930 საკვები ერთეული გეგმით გათვალისწინებული 1.050 ერთეულის ნაცვლად. ასეთივე რაოდენობის ხორცზე შრომის დანახარჯები შეადგენს 2,86 კაცდღეს გეგმით გათვალისწინებული სამის ნაცვლად.

საბჭოთა მეურნეობის წინაშე დასახულია ამოცანა — მისცეს მოსახლეობას კიდევ მეტი და იაფი ხორცი. 1970 წლიდან მეურნეობამ ყოველწლიურად უნდა მოგვცეს 25-30 ათასი ცენტნერი ხორცი, ესე იგი ორნახევარ-სამჯერ მეტი, ვიდრე ახლა.

ამ დიდმნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად ფართოდ მიმდინარეობს სამელიორაციო სამუშაოები, იზრდება სარწყავი მიწათმოქმედების ფართობები, ერთწლიანი, მრავალწლიანი ბალახების, სიმინდის, თავთბოვიანი მარცვლეულის ნათესები, მატულობს არსებული მინდვრების მოსავლიანობა. ავამოქმედეთ წარმოების რეზერვები. ახლა საბჭოთა მეურნეობაში სამი ათასი ჰექტარი მიწის გაუმლაშებლობაზე მუშაობს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, „სამგორწყალმშენის“ ტრესტი აწარმოებენ ძველი სარწყავი ქსელის რეკონსტრუქციას, ზრდიან სარწყავი მიწათმოქმედების ფართობებს. ნიადაგის მორწყვა და გაუმლაშებლობა საშუალებას მისცემს საბჭოთა მეურნეობას შეასრულოს მზარდი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის პროგრამა.

დიდი მუშაობა სრულდება ნათესების დასაცავად ქარისაგან, ქარისმიერი ეროზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. საცავი ტყის ზოლების ახალი მასივები მთლიანად უზრუნველყოფილია ნერგებით.

...ოდესღაც მიგდებული ადგილი გადაიქცა კულტურულ, დასახლებულ კუთხედ. საკმარისია ითქვას, რომ ამ ბოლო დროს მეურნეობის მუშაკთა საბინაო-საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის დაიხარჯა დაახლოებით ორნახევარი მილიონი მანეთი.

ზუგდიდის მძლავრი ფარი

ზუგდიდის მიდამოებში — იქ, სადაც მჭუხარე ენგურს გაურღვევია ქედის რკალი და შეუქმნია ვიწრო ხეობა, შენდება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი, ენგურის ჰიდროსადგურის 270-მეტრიანი თაღოვანი კაშხალი.

ენგურის გიგანტი წელიწადში გამოიმუშავებს 5,5 მილიარდზე მეტ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. იცით რას ნიშნავს ეს? ქართული ენერგეტიკის პირმშო ზაჰესი, რომელიც თავის დროზე დიდი ელექტროსადგური იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ჩვენს ქვეყანაში, 25-ჯერ ნაკლებ ელექტროენერგიას იძლევა. მაგრამ ზუგდიდელებისათვის ენგურის ენერგეტიკული კომპლექსი მარტო ელექტროენერგიის წყარო როდი იქნება. გიგანტური მშენებლობა, რომელიც შავი ზღვიდან კავკასიონის მთებამდე გადაჭიმულა, სახეს უცვლის ქალაქს, მის სოციალურ სტრუქტურას.

მშენებლობა, რომლის ბადალი არ არის კავკასიაში, ათეულ ათასობით მუშა აგების კაშხალს, გაჰყავს მთებში უნიკალური 16-კილომეტრიანი გვირაბი, გზატკეცილები და რკინიგზის მაგისტრალები, აშენებს კეთილმოწყობილ დაბებს. ახლა ზუგდიდის გარშემო ექვსი ასეთი დაბაა, სულ კი თორმეტი იქნება. აქ 25 ათასი კაცი იცხოვრებს.

ზუგდიდის, ისევე როგორც მეზობელი მთიანი რაიონების გუშინდელი მევენახეები, მეცხოველეები, მებაღეები მშენებლობაზე გახდნენ კვალიფიციური გვირაბგამყვანები, ამფეთქებლები, მემონტაჟეები, მექანიზატორები.

მშენებლობის მასშტაბმა, რომლის მთავარი შტაბი ზუგდიდშია, გავლენა მოახდინა ქალაქის გარეგნულ სახეზეც. პირველად ქალაქში გაჩნდა მრავალსართულიანი სახლები. მაგალითად, წელს ქალაქში აშენდება სამი 48-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.



ქართველი მეცნიერი

დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი

დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოებამ თავის უკანასკნელ სხდომაზე ერთხმად გადაწყვიტა საზოგადოების საპატიო წევრად აერჩია საქართველოს სსრ აკადემიკოსი არნოლდ სტეფანეს-ძე ჩიქობავა. ამ გადაწყვეტილებით, აღნიშნულია დღეს აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში, საზოგადოება „ალიარებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრის ა. ს. ჩიქობავას დიდ დამსახურებას კავკასიის ხალხთა ენების შესწავლის დარგში და მეცნიერის იმ დიდ ღვაწლს, რომელიც დასდო ქართული ენის რვატომიანი აკადემიური ლექსიკონის გამოცემას როგორც მთავარმა რედაქტორმა.

დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების ეს გადაწყვეტილება, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, „გამოხატავს მის მებრძოლ გრძნობებს პროფესორ ჩიქობავასადმი, რომელსაც წელს 70 წელი უსრულდება, და მისი კოლეგებისადმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წელს აღნიშნავს თავის 50 წლის იუბილეს“.

დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოება 1842 წელს დაარსდა. იგი აერთიანებს დიდი ბრიტანეთის ლინგვისტებსა და ფილოლოგებს. თავისი ხასიათით საზოგადოება საერთაშორისოა და ბევრი მისი წევრი საზღვარგარეთელი მეცნიერია.

საერთო ტირაჟი

330.712.200 ცალი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 47 წლის განმავლობაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

უდიდესი წარმატებებია მოპოვებული წიგნის გამოცემის საქმეშიც. აი ის ციფრებიც, რომლებიც მეტყველებენ ჩვენი ხალხის ამ დიდ კულტურულ მონაპოვარზე:

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, 1921 წლიდან 1968 წლამდე, გამოვიდა 69.390 დასახელებაზე მეტი წიგნი; მათი საერთო ტირაჟია 330.712.200 ეგზემპლარი.

1921-1930 წლებში გამოვიდა 8.774 დასახელების წიგნი, 24.030.000 ტირაჟით;

1931-1940 წლებში გამოვიდა 13.820 დასახელების წიგნი, 65.586.000 ტირაჟით;

1941-1950 წლებში გამოვიდა 9.789 დასახელების წიგნი, 115.222.000 ტირაჟით;

1951-1960 წლებში გამოვიდა 20.252 დასახელების წიგნი, 102.373.700 ტირაჟით;

1961-1966 წლებში გამოვიდა 14.595 დასახელების წიგნი, 78.610.100 ტირაჟით;

1967 წელს გამოვიდა 2.162 დასახელების წიგნი, 14.889.400 ტირაჟით.







უკვდავების ვაზი

ბაგრატიონები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში

ახლახან მოვიარე ჩრდილოეთ კავკასიის ქართული სოფლები თუ ნასოფლარები. ჩვენს წინაპრებს კეთილი კვალი დაუტოვებიათ შელჯოზავოდსკსა და კობში, ნოვოივანოვკასა და გრუზინოში, პლასტუნკასა და სასოფლეში. სასოფლედან ორიოდე ათეულ კილომეტრზე ყიზლარი მდებარეობს. ვეცოდი, პეტრე ბაგრატიონის სამშობლოა, და ამიტომ მოწიწებით დავათვალიერე მისი აკვნის დამრწევი ქალაქი. აქ აიდგა პეტრემ ფეხი. აქ გაეცნო უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“. ყიზლარელებს ბოროდინოს გმირი თავიანთ ყველაზე უფრო საყვარელ სპატიო მოქალაქედ მიაჩნიათ. პეტრე ბაგრატიონის სახელს ატარებს ადგილობრივი მუზეუმი და ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა. მკვიდრმა მცხოვრებლებმა გვანახეს ხუთიოდე ძველებური სახლი. ვარაუდობენ, რომ ერთ მათგანში დაიბადა გენიალური მხედართუფროსი!

— პეტრე ბაგრატიონის შთამომავალმა თავისი დიდი წინაპარი ასახელა მეორე მსოფლიო ომში, — გუთხარი მუზეუმის დირექტორს ნესტორ ანნინოვს და ფოტოქაღალდზე აღბეჭდილი ამის დამადასტურებელი საბუთი გავუწოდე. აი რა არის მასში ნათქვამი: „დიდი სამამულო ომის დროს მოსკოვისათვის ბრძოლაში გამოირჩეოდა ახალგაზრდა ჯავშანმსხვრეველი ნიკოლოზ ბაგრატიონი. ერთ-ერთ ბრძოლაში მან მოსპო ფაშისტთა 4 ტანკი.

დაცულია საარმიო გაზეთის 1942 წლის 7 სექტემბრის ნომერი ანშლაგიანი გვერდით: „ტყუილად როდი ახსოვს ბოროდინოს დღე მთელ რუსეთს“. ამ გვერდზე გამოქვეყნებულია შენიშვნა, რომელიც აღწერს სამამულო ომის მამაცთა შორის მამაცი გენერლის პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონის შთამომავლის ვაჟკაცურ გმირობას.

ომამდე ნიკოლოზ ბაგრატიონი ცხოვრობდა სამარყანდში, მუშაობდა ადგილობრივ თეატრში, სამსახიობოდ ემზადებოდა“.

6 წლის წინათ გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ ამ მცირე შენიშვნას კვალზე მივყევით და შევეცადეთ შეგვეგროვებინა მასალები იმაზე, თუ რა მონაწილეობა მიიღეს ბაგრატიონებმა ჰიტლერული გერმანიის შესამუსრავად და სამშობლოს დასაცავად. უწინარეს ყოვლისა ვეძებეთ ნიკოლოზ ბაგრატიონის ოჯახი. ამ მიზნით სამარყანდის გაზეთმა „ლენინსკი პუტ“ 1965 წლის 16 სექტემბერს თავაზიანად გამოაქვეყნა ჩვენი ნარკვევი: „სამი ნიკოლოზ ბაგრატიონი. სად არის სამარყანდელი?“ რედაქციამ დაურთო საკმაოდ მოზრდილი შენიშვნა, რომლიდანაც შევიტყვეთ, რომ „უზბეკეთის დრამატული თეატრის ძველი მუშაკებიდან ნიკოლოზ ბაგრატიონს იცნობს მხატვარი, ამჟამად პენსიონერი აკიმ მათეს-ძე ეპიმოვი. მან გაიხსენა, რომ ბაგრატიონი დურგლად მუშაობდა თეატრში, ოცნებობდა მსახიობობაზე, მონაწილეობდა მასობრივ სცენებში. ეს იყო ომის წინ. ნიკოლოზ ბაგრატიონის შემდგომი ბედი მისთვის ცნობილი არ არის“.

რედაქციამ მიმართა მკითხველებს ცნობებისთვის, თუ ვინმემ რაიმე დაწვრილებითი ამბავი იცის ნიკოლოზ ბაგრატიონზე. სამწუხაროდ, ჯერჯერობით მეტი ვერაფერი გავიგეთ. მისი ძებნისას შევისწავლეთ კიდევ ორი ნიკოლოზ ბაგრატიონის ცხოვრების გზა. ერთ მათგანს თბილისელები ნიკო ბურს ეძახდნენ და ოცდათიან წლებში მთაწმინდის ახლო მდებარე ერთ-ერთ კორტოხზე ბინადრობდა. ნიკოლოზ გიორგის-ძე ბაგრატიონი მოხალისედ იბრძოდა ბურების მხარეზე. ამ პატარა ხალხის მწუხარება თავისი ერის წყლულად მიაჩნდა და იარაღი აისხა ინგლისელ იმპერიალისტთა ხელყოფისაგან დასაცავად. მისი შთამომავლები ახლაც მოწიწებით ინახავენ ბევრ საინტერესო ნივთს, რომელიც დაკავშირებულია აფრიკაში ნამარხი ქართველის ცხოვრებასთან. აი მათ მაგიდაზე დააწყეს სურათები, სუვენირები, წერილები, რომლებიც ეპოქებს აშუქებენ. უსახელო ოსტატებს იშვიათი ჭვისაგან გამოუთლიათ ტკბილი წვენის სასმელი თასი, რომელიც ინახავს პოეტურ ლეგენდას, თაობიდან თაობას რომ გადმოეცა: ამ თასში ჩასხმული შხამიც კი ვერ განგმირავს დამლევს და შარბათივით შეირგება. ამბობენ, ეს „ჯადოსნური“ ჭურჭელი ნიკოლოზ ბაგრატიონის წინაპრებისათვის ერეკლე მეორეს უჭირავს. საინტერესო სანახავია ორი ჩარექი ტევადობის დიდი თასი, რომელსაც ღვინით სავსეს მიართმევდნენ ხოლმე წვეულების მონაწილე საპატიო სტუმარს. მასპინძლებმა მეორე ოთახიდან გამოიტანეს ქარქაშშემოფლეთილი ხმალი, რომელსაც ბაგრატიონები უძველესი დროიდან ხმარობდნენ მომხვდური მტრის შესამუსრავად. ინახავენ იმ ტყვიისაგან გაკეთებულ ბეჭედს, რომლითაც ინგლისელმა მოძალადეებმა განგმირეს ქართველი ოფიცრის ფრანგი ადიუტანტის გული. აფრიკის მიწაზე ამ ტყვიას ნ. ბაგრატიონი ჯერ თილისმად ატარებდა, თბილისში დაბრუნების შემდეგ კი ერთგული მეგობრის სახსოვრად ინახავდა... კედელზე შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის ორიგინალური სურათები ჰკიდია. თამარ მეფის პორტრეტი აღმოჩნდა ფოტოპირი იმ სურათისა, რომელიც ნიკო ბურის საფრანგეთში ყოფნის დროს აბრეშუმის ტილოზე მოუქარგავთ ლიონელ მეგობელენებს.

როგორც შინაურებმა გვიამბეს, ნიკოლოზი ჯერ კიდევ ჭაბუკობაში გამხდარა კარგი ჩუბინი. ნადირობიდან უნადავლოდ არასოდეს არ დაბრუნებულა. მისი სტიქია გახლდათ ცხენი და ცხენოსნობა. გაიხსენეს, ახალგაზრდობაში პეტერბურგს ჩავიდა და მონაწილეობა მიიღო მსროლელთა გრანდიოზულ აპარეზობაში. არც ერთი ტყვია არ აცდენია სამიზნეს და 6000-მანეთიანი ჯილდოთი დაბრუნდა შინ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნიკო ბური მოხალისედ შევიდა წითელ არმიაში. საყვარელ ცხენიანად ერთგულად ემსახურა სახალხო ლაშქარს. საკუთარ დანაზოგსაც კი ახმარდა თავისი მერნის მოვლა-პატრონობას. წითელი ესკადრონის ოფიცერი კავალერისტის ხელოვნებაში წვრთნიდა ქართველ ჭაბუკებს. გაბედული ცხენოსნის მეომრული ტრადიციები დიდი სამამულო ომის წლებში ამრავლეს მისმა მახლობლებმა და ნათესავებმა, თანასოფლელებმა და მეგობრებმა. ბაგრატიონებმა, ბაგრატიონ-მუხრანელებმა, ბაგრატიონ-გრუზინსკებმა თუ ბაგრატიონ-დავითაშვილებმა საბჭოთა ხალხთან ერთად დიდ სამამულო ომში ქუდზე კაცი გამოიყვანეს და დიდების შარავანდედით შემოსეს ჩვენი იარაღის უძლეველობა. ერთი მაგალითი გახლავთ: ნიკო ბურის სახლნი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბაგრატიონი, რომელიც საქართველოს სსრ სახელმწიფო ბანკში გავიცანით. იგი ყველას მიერ პატივცემული და საყვარელი ადამიანია არა მარტო იმისათვის, რომ გამოცდილი ფინანსისტია. იმიტომაც, რომ ჰიტლერელთა ურდოებს ჩვენს

ახალი ხიდი

სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ხიდების მშენებლობის ტრესტის № 454 სახიდე მატარებლის მშენებლებმა დაიწყეს ბეტონის ჩაყრა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მომავალი ხიდის საძირკველში.

ახალი ხიდი დააკავშირებს ორჯონიკიძის რაიონს აკაკი წერეთლის პროსპექტთან პირველი მაისის რაიონში.

მომავალი ხიდის სიგრძეა 220 მეტრი, სიგანე — 27 მეტრი. ახალი ხიდი ჩვეულებრივი კონსტრუქციის როდია: მას ექნება პატარა დახრა მარჯვენა ნაპირიდან მარცხნისაკენ.

მშენებლებმა იკისრეს ვალდებულება თბილისის ყველაზე დიდი, სათვალავით მერვე დიდუბის ხიდი საექსპლოატაციოდ გადასცენ ხუთწლედის დამლევისათვის.

დღეს რუსთავში

რუსთავი. „გადავაქციოთ რუსთავის ქიმიური კომბინატი მთლიანად ავტომატიზებულ საწარმოდ“, — ასე გადაწყვიტეს რუსთაველმა ქიმიკოსებმა.

ამ ცოტა ხნის წინათ აქ ამუშავდა ამონიუმის დისულფატისა და ჰიდროქსილამილსულფატის საამქროებს შორის გაზის წვეის ავტომატური რეგულატორი. ამან შესაძლებელი გახადა განხორციელებულიყო გაზის წვევის სტაბილიზაცია, უზრუნველყო ნორმალური ტექნოლოგიური რეჟიმი.

განხორციელდა აგრეთვე სინთეზის ბლოკების ავტომატიზაცია, რამაც თითქმის ერთიორად გაზარდა მათი მწარმოებლობა.

მეთანის კონვერსიის საამქროში დამთავრდა № 6 შეთავსებული აგრეგატის ავტომატური გაშვებისა და გაჩერების ახალი სქემის გასაწყობი სამუშაოები. ამ საქმემ ბევრად შეამსუბუქა მომსახურე პერსონალის შრომა და უზრუნველყო ნედლეულის საგრძნობი მომჭირნეობა.

ინდური შთაბეჭდილებები

მოგვითხრობს ს. ნასიძე

„ინდოეთი ჩემს მეხსიერებაში დარჩა დიდი კონტრასტებისა და საინტერესო ადამიანების ქვეყნად. ეს უძველესი კულტურის ქვეყანა დღესაც აოცებს ყველას“, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს სულხან ნასიძემ, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა ინდოეთიდან, სადაც ცნობილ რუს მუსიკისმცოდნე ვ. ვინოგრადოვთან ერთად შეოქმედებითს მივლინებაში იყო. საბჭოთა მუსიკოსები იყვნენ ინდოეთის შვიდ ქალაქში, მათ შორის დელში, ბომბეისა და მადრასში. მოგზაურობის მიზანი იყო ინდური მუსიკისა და ამ ქვეყნის თანამედროვე მუსიკალური ცხოვრების გაცნობა.

— გამაოცა ინდოელმა ხალხმა, — განაგრძო ს. ნასიძემ. — იგი შეყვარებულია თავის მუსიკაზე. მას დიდი ლტოლვა აქვს შეისწავლოს მუსიკა. ინდოეთის კომპოზიტორები შასტრი, ბისვასი, რაუ, რომლებიც გავიცანი, ცდილობენ გაამდიდრონ ეროვნული მუსიკა თანამედროვე მუსიკალური კულტურის მიღწევებით.

ქართველი კომპოზიტორი გაეცნო ინდოეთის უძველეს მუსიკალურ ფოლკლორს, რომელიც მსმენელს აოცებს მრავალფეროვანი რიტმით და მდიდარი წყობით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ინდოელებს 127 სახეობის ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტები აქვთ. განსაკუთრებით მდიდარია დასარტყმელ ინსტრუმენტთა ჯგუფი.

დელში, მაგალითად, არის სიმღერისა და ცეკვის აკადემია. ახალგაზრდობა ხალისით მეცადინეობს ამ უმაღლეს სასწავლებელში. ახლა ინდოეთში განსაკუთრებით პოპულარულია მსუბუქი მუსიკა, რომელიც წარმოადგენს ხალხური მუსიკისა და ჯაზის ელემენტების სინთეზს. ასეთი მუსიკა უხვად არის გამოყენებული კინოფილმებში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად ინდოეთში უშვებენ 300 მხატვრულ ფილმს და მათში სიმღერისა და ცეკვის გამოყენების მეთხებით მაყურებელი ყოველთვის სიამოვნებით უყურებს სურათს.

ჩვენი მუსიკოსები დაწვრილებით გაეცნენ მუსიკის სწავლას უნივერსიტეტების მუსიკის ფაკულტეტებზე. მათ ჩაიწერეს ხალხური მუსიკა, უანრი, სასწესჩვეულებო, სატრფიალო და სხვა სიმღერები, რომლებსაც ეროვნული ინსტრუმენტებით ასრულებენ. მათ ინდოელ კომპოზიტორებს გადასცეს ფირფიტები ქართული და რუსული საბჭოთა მუსიკის ჩანაწერით.





ქვეყანაზე მუხანათური თავდასხმის პირველი დღეებიდანვე შეეჭიდა და იმ მძიმე დღეებში საბჭოთა ვალუტა ქვეყნის გამარჯვების სამსახურში ჩაყენა. 63-ე სამთო მსროლელი დივიზიის უფროსმა ლეიტენანტმაც იარაღით ხელში მიიღო მონაწილეობა ფეოდოსიის შტურმით აღებაში. სავილე ბანკის უფროსმა საკუთარი ზურგით ზიდა ყირიმის ნახევარკუნძულის სეიფების სიმდიდრე და სამშვიდობოს გადმოიტანა, რომ დიდძალი ფული, დოკუმენტები თუ ფასიანი ქაღალდები მტერს არ ჩავარდნოდა ხელში. თავი გამოიჩინა აგრეთვე კავკასიის დაცვაში. ნ. ბაგრატიონი მედგრად იცავდა მარუხის უღელტეხილს, რისთვისაც რამდენიმე საბრძოლო ჯილდო დაიმსახურა. ეს იყო უმძიმესი ბრძოლა. ისე გახდა, 50 კილოგრამსაც არ იწონიდა, მაგრამ ფეხი არ მოუცვლია პოზიციიდან. იომა მანამ, ვიდრე ჭრილობამ გრძნობა არ დააკარგვინა. ახლაც ატყვია ნაჭრილობევი...

როგორც კავკასიაში, ისე სამამულო ომის ყველა ფრონტზე საბჭოთა არმიას დიდ სამსახურს უწევდა რადიო. ბევრი სამხედრო სპეციალისტი კი ბაგრატიონთა შთამომავალმა გიორგი დავითაშვილმა მოამზადა. ქართული რადიომაუწყებლობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ომის პირველი დღეებიდანვე ატკირთა რადიომართვის ტექნიკის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ომის პერიოდში ამზადებდა რადიოსპეციალისტებსა და რადიოაპარატურას, რისთვისაც მთავრობის ჯილდო დაიმსახურა. ომის დამთავრების შემდეგაც თავის სურვილით კიდევ 10 წელიწადს წვრთნიდა არმიელ რადისტებს.

როგორც თადარიგის ოფიცერს გ. დავითაშვილს, ისე მის მახლობელ მეომარ ადამ ბაგრატიონს მეტად მცირედ მიაჩნდათ მათ მიერ ქვეყნის დაცვაში შეტანილი წვლილი და მოითხოვდნენ უშუალოდ ცეცხლის ხაზზე გაუზავნას.

— გამარჯვების დასაგვირგვინებლად თქვენც მამაცურად იღვწით! — დაარწმუნეს ისინი და დასძინეს, რომ საბჭოთა სამხედრო მანქანის მწყობრ მუშაობას უზრუნველყოფს მისი ყველა შემადგენელი ნაწილი.

როცა ხანდაზმული ადამ ბაგრატიონი ფრონტზე გასასვლელად ემზადებოდა, მისი მეუღლე მერი ბაგრატიონ-მიქელაძისა ყალმითა და ფუნჯით ეხმარებოდა მშობლიურ არმიას. მხატვარი დღენიადაგ ჰოსპიტალში იჯდა და ხატავდა მამაცი მეომრების სახეს. რამდენიმე წლის წინათ მის ოჯახში ვნახე საბჭოთა კავშირის გმირების მ. გახოკიძისა და ა. ჩერევატენკოს პორტრეტები, რომლებიც მხატვარმა 1942 წლის აგვისტოში შეასრულა. ქართველ მეომარს მალე მივაკვლიე, ჩერევატენკოს ძებნას კი თითქმის ორი წელიწადი მოვუნდი. მას დონის როსტოვში ვეწვიე და საჩუქრად მივართვი საბჭოთა კავშირის გმირის ჩერევატენკოს პორტრეტის ფოტორეპროდუქცია.

რამდენიმე წლის წინათ გაზეთებმა „კრასნაია ზვეზდამ“ და „ლენინსკოე ზნამიამ“ გულთბილად მოიკითხეს მუხრანელი ლეონიდ დავითის-ძე მუხრანელი და მოსკოველი პეტრე პეტრეს-ძე გრუზინსკი.

ლეონიდ მუხრანელთან შეხვედრამ მეტად დიდებული ტაძარი გაგვახსენა. იქ განისვენებენ მისი წინაპრები, რომელთა საფლავების ქვაფენილებს მოკრძალებული წარწერები ამკობენ. გაგვახსენებენ საგვარეულო სოფელს, სადაც თავისი ხიფათიანი თავგადასავალი დაწვრილებით მოუთხრო დავითს სამხრეთ აფრიკიდან ჩამოსულმა ნიკო ბურმა. საჭიროების დროს ორივემ თურქეთის ფრონტს მიაშურა და ბაგრატიონთათვის დამახასიათებელი ვაჟკაცობა გამოიჩინა. გავიდა წლები. სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ევოქის რთულ ვითარებაში ვერც დავითი გაერკვა, მაგრამ ხალხის ერთგული მაინც დარჩა. აგრონომიული რჩევით ეხმარებოდა მუხრანელებს და უფასოდ მკურნალობდა გლეხების პირუტყვს. დავითი ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლების ერთგულების სულისკვეთებით აღეზარდა ლეონიდე, რომელმაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა.

სილიკატური აგურის ინჟინერ-ტექნოლოგმა 1941 წლის 23 ივნისს მეომრის ფარაჯა ჩაიცვა. მეთაურობდა ქიმიურ ასეულს. თავი გამოიჩინა პირველსავე ბრძოლებში და დივიზიის ქიმიური სამსახურის უფროსად დაწინაურეს. მისი საბრძოლო სვლა-ვიზი თერგთან დაიწყო და მოლოშნაიასთან დაგვირგვინდა ბრწყინვალე გამარჯვებით. მოზდოკი, გროზნო, სტანიცა ეშხორსკაია და სხვა პუნქტები მძიმე ბრძოლების ადგილებია. ლეონიდეს მტერზე გამარჯვების მოახლოებაში ყველაზე წვლილი შეაქვს. 1943 წლის შემოდგომაა. ვინ იცის ეს მერამდენეჯერ სცადეს ჩვენმა ნაწილებმა ფეხი მოეკიდათ მდინარე მოლოშნაიას გაღმა. ამ ცდებს წარმატება არ მოჰყვა, რადგან მტერი ჯერ კიდევ ძლიერი იყო, იღებდა მაშველ ძალებს და ყველაფერს ცეცხლის ალში ხვევდა, წყალგაღმა პლაცდარმის დაჭერა კი ფრიად აუცილებელია! მოლოშნაიას ჭაობიან ნაპირებთან ხომ არსებითად წყდებოდა ყირიმის ბედი. 347-ე დივიზიამ ნაწილობრივ შეასრულა სამხრეთის ფრონტის ცალკე ამოცანა. ცხადზე უცხადესია, ნაწილობრივი წარმატებებისაგან საერთო გამარჯვება წარმოიქმნება. ამიტომაც გენერალმა უხიმიჩუკმა სათანბიროდ შეკრიბა შტაბის ოფიცრები. აზრი გამოთქვა კაპიტანმა ლ. მუხრანელმაც.

— ბოლის ფარდის საფარით გადავლახოთ მდინარე, — ჩამოაყალიბა თავისი წინადადება ქიმიური სამსახურის უფროსმა და წერილობითი პროექტი გადასცა გენერალს.

— ჩანაფიქრი მართლაც საქმიანია, — შენიშნა უხიმიჩუკმა, — მხოლოდ დანაღმული ჭაობები შეგვიშლის ხელს და ნაპირამდე მისვლა გაძნელდება.

— მესანგრეებს უკვე მოვეთათბირეთ, — კვლავ დაირხა მუხრანელის ხმა, — და დივიზიის მეთაურს საფუძვლიანად გააცნო თავისი გეგმის არსი და განხორციელების საშუალებანი. გენერალმა ოპერაციის გეგმა დაამტკიცა. მესანგრეებმა ღამით გააუვნებლეს დანაღმული ველი. მათ ნაკვალევზე ჩუმად გაიკრიფნენ ქიმიკოსები და მდინარის ნაპირას განლაგდნენ. ადგილ-ადგილ კოჭები დააწყეს იმ დროს, როცა მოლოშნაიას მეორე მხრიდან უცხო ხმა ისმოდა. შეუსვენებელი შრომის შედეგად ბოლის კოჭები რამდენიმე კილომეტრის სიგრძეზე ჩაამწკრივეს. განთიადისას იქუხა არტილერიამ. საბჭოთა ნაწილების საარტილერიო შომხდებას მოჰყვა მანათობელი რაკეტების გაცისკროვნება. ეს სიგნალი საკმარისი იყო იმისათვის, რომ კვამლის ზღვა დაეყენებინა ლეონიდე მუხრანელის ორმოცდაათიოდე ქიმიკოსს. ზეცაში აიჭრა ბოლის სქელი სვეტები. ჰვარტლის ღრუბელმა მოიცვა მდინარე. სადღაა მისი ვერცხლისფერი ზოლი. ქიმიკოსებს სასიკეთო დახმარება გაუწია ნიავმაც. ბოლის მოქმედების არე თითქმის 10 კილომეტრამდე გაიჭიმა. რა ხდებოდა მდინარის აქეთ და სად იყვნენ ჩვენი მეომრები — ჰიტლერელები აზრზე ვერ მოვიდნენ. საბჭოთა მებრძოლებმა კი თითქმის უდანაკარგოდ გადალახეს მოლოშნაია და დევნგმირული დარტყმით გარეკეს ფაშისტები.

ახალი პლაცდარმი არის! ახლა შეიძლება ახალი შეტევაც...

ი. ჯავახიშვილი.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

* * *

სურათებზე: მარცხნივ, ზემოდან: — დიდი სამამულო ომის მონაწილენი: ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბაგრატიონი, გიორგი დავითაშვილი, ადამ ბაგრატიონი, ლეონიდე მუხრანელი; **მარჯვნივ, ზემოდან:** — პეტრე გრუზინსკი და დიმიტრი მუხრანელი.

მარნეულის სახ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა



ყოველ კვირას

გიორგი და ელენე პაპაშვილები

ნაწყვეტები წიგნიდან

მამაჩემი ჭკვიანი კაცი იყო. დათანხმებით კი როგორ დაეთანხმებოდა, მაგრამ ყველას ყურადღებით უსმენდა და ისინიც სავსებით დაკმაყოფილებულნი მიდიოდნენ. მე კი სულ მიჩიჩინებდა: კოლას ასწავლე, რომ კარგად მოიქცეს, არავის არაფერი დაუშავოს და არც არავინ შეაშინოს. ეს შენთვისაც კარგი იქნება და იმისთვისაც.

მეც ვასწავლიდი. ვაჩვენებდი სისუფთავეს. თუთის ხის სავარცხელი გამოვუთალე და ყოველდღე ვვარცხნიდი. საბანაოზე რომ მივდიოდი, თან მიმყავდა ხოლმე. ვასწავლიდი, რომ ყველას მეგობრულად მოჰქცეოდა, სხვის საჭმელს არ მიკარებოდა, უმიზეზოდ არ დაეწყო ღმუილი და თამაშობის დროსაც კი არ ეხმარა თავისი კბილები.

ვასწავლე თაეის დაკვრა, ხელის ჩამორთმევა, ჭიდაობა, ხტუნვა, სამწყობრო სიარული, სამხედრო სალამი, ბურთის დაჭერა და ლეკურის ცეკვა. ვასწავლე ყველაფერი, რაც კი ვიცოდი: როგორ გაჭყლოდა ყველიდან აფრენილ ფუტკარს ფუღურომდე და როგორ გაეჭრა მწიფე ვაშლი მკვახისაგან. ვაჩვენე ტყიდან ნაკაფისაკენ მიმავალი გზა, სადაც დიდი ლურჯი ქლიავები იდგა.

ოღონდ ეგ იყო, კაკლის ქვით გატეხას ვერ მივაჩვიე — კბილებით ამჯობინებდა და ვერც ცნობისმოყვარეობა მოვაშლევინე.

ვარჯიშის დროს, როცა საზეიმო მარშით მივდიოდით, უცებ აღმოვაჩენდი, რომ ჩემს არმიას რიგი დაეშალა და რაღაცას იკვლევდა — ფიქვზე დამჯდარ პეპელას, პალოზე მიბმულ თოკს, თავდაღმა დამხობილ კალთს, ზარის ხმას.

კოლასათვის მთელი სამყარო გამოცანა იყო და ყოველდღე ცდილობდა მის ამოხსნას, თუმცა ამის გამო, ძალიან ხშირად, ცუდ დღეში ვარდებოდა ხოლმე.

ერთხელ თავადის სახლის ასაგებად ქალაქიდან ხელოსნები ჩამოვიდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ დურგალმა შემომჩივლა, კოლამ დამიღმუილაო.

ამის შემდეგ კოლას დღისით აღარ ვუშვებდი ეზოდან, მაგრამ ღამ-ღამობით მშენებლობაზე მეპარებოდა და სულ დაიკლიდა ხოლმე ხარაჩოებს — განა ცუდი რამ ედო გულში. არა, უბრალოდ უნდოდა ჩვენსავით ცოდნოდა, თუ როგორ მიდიოდა თავადის სახლის მშენებლობა.

დურგალმა გაიგო ეს ამბავი და ერთ ხარაჩოს საყრდენი გამოაცალა. შედგა თუ არა კოლა იმ ფიცარზე, ძირს ჩამოვარდა და ისე დაიჭექა, რომ ერთ კვირას ვეღარ გაიარა.

კოლამ კარგახანს უცადა ხელსაყრელ შემთხვევას და აი ერთ ღამეს დურგალს აკი დაავიწყდა თავისი იარაღების შენახვა. მეორე დღეს ჩაქუჩი აღარ იყო!

დურგალმა ყველაფერი გადააბრუნა, კოლა კი ამ დროს ჩაქუჩზე იჯდა, გრძელი ბრჭყალებით კბილებს იჩიჩქნიდა და ცალი ყბით დათვურად იცინოდა.

მე, რაღა თქმა უნდა, დავტუქსე, კოლა, რატომ შეგეგარცხვინე-მეთქი, მაგრამ როდესაც საქმე მთლიანად შევისწავლე და მშენებლობაზე მომუშავე ქვისმთლელებიც კოლას მიუდგნენ, გამოირკვა, რომ დურგალი უფრო დამნაშავე იყო. თუმცა სწორედ დურგალი ყოფილა ჩხუბის დამწყები — კოლასათვის თაფლში არეული თამბაქო მიუცია — აბა თუ გამწარდებაო.

რაღა გაეწყობოდა. მე მაინც ვეცადე კოლასათვის შემეგნებინებინა, რომ სიმდაბლე არ გამოეჩინა და ბოროტს ბოროტად არ მოჰქცეოდა. სამწუხაროკი იყო, რომ ადამიანები ასეთ ცუდ მაგალითს აძლევდნენ.

მეორეჯერ კოლამ ჩემი ბიძაშვილი ქალის პატარა ბიჭი წაიყვანა და ნაკადულში აბანავა. ჩემმა ბიძაშვილმა, იმის მაგივრად, რომ პატივისცემა დაეფხავებინა, ხელები წაისინა თავში, ხალხი შეჰკარა და ზეციდან ყველა წმინდანს მოუხმო დასახმარებლად. ბავშვი კოლას გამოვართვი, მაგრამ მან ისეთი ტირილი და წიოკობა ატეხა, რომ კვლავ უკან დაუბრუნეთ. ბავშვი აკისკისდა და ისევ ჯუმბალაობა დაიწყო წუალში.

ამის შემდეგ კოლას ჩვენს სოფელში სახელი გაუტყდა. ყოველ შემთხვევაში, დედებს თვალით არ დაენახვებოდა. მაგრამ მალე საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა:

შემოდგომის მიწურულს ჩვენს სოფელში პოლკი დადგა საგანგებო მანევრების ჩასატარებლად. მეფის ოფიცრები ჩვენს სახლებში დაბინავდნენ და ძალიან ცუდ დღეში ჩაგვაგდეს, რადგან ყოველმა მათგანმა მეფობა მოინდომა ჩვენზე. გზაზე თვითონ დადიოდნენ და ჩვენ მხოლოდ თხრილს გვითოვებდნენ სასიარულოდ, ბოსტნები დაგვიცარიელეს, ცხვრები უგზოუკვლოდ იკარგებოდნენ, ქალები სველი ცხვირსახოცის დაფენასაც კი ვეღარ ბედავდნენ ბალახზე.

ერთხელ მე და კოლა ძია გიორგის ვესტუმრეთ ცოტა ხნით და უკან მაშინ დავბრუნდით, როცა ჯარისკაცების დასვენების დღემ მოაწია. გზაში ბინდმა მოგვისწრო. უცებ დავინახე, რომ ჩემსკენ რამდენიმე კაცი მოდიოდა. ერთი გარმონს უკრავდა, სხვები მღეროდნენ. მე გზა არ დავუთმე. კაცებმა შუაში მომიჭიეს და გინება დამიწყეს.

კოლა ჩამომრჩენოდა. იგი მოსახვევში, ხესთან შეჩერებულიყო და ფუღუროში იყურებოდა. უნდოდა გაეგო, მასპინძელი შინ იყო თუ არა. შემდეგ ძაღლივით ოთხივე ფეხზე დაეშვა და სიბნელიდან გამოვიდა. სწორედ რომ დროზე გამოვიდა: კაცებმა ქუდი მომგლიჯეს თავიდან, თხრილში გადაგდეს და მერე მეც ზედ მომაყოლეს:

კოლამ ყველაფერი დაინახა.

ძალიან კარგი. მეცა მყავდა ჩემი არმია! მერე რა, რომ მეფე არ ვიყავი!

— კოლა! — დავუძახე მე და სტვენით ვანიშნე, ეცი-მეთქი.

ოფიცრებმა სიმღერა განაგრძეს და გარმონიც აახმიანეს.

უცებ დაკვრა შეწყდა. კოლა გზაზე დამდგარიყო და თანდათან მაღლამაღლა იმართებოდა უკანა თათებზე!

თათის ერთი მოქნევით მან ერთ კაცეტს ხალათი შემოახია. მეორე მოქნევა და, შეგარმონე თხრილში ეგდო ჩემს გვერდით და ღრიალებდა: „მიწიდან ეშმაკი ამოძვრა და თავისი ფიწალი მატაკაო“.

დანარჩენებმა დაუჯერეს, თავიანთ წილს აღარ დაუცადეს და თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ.

მიწაზე დაცემისას გარმონმა ხმა გამოსცა. კოლა დაინტერესდა, გარმონი წინა თათებით აიღო და ოდნავ გაჭიმა. მან ერთი საწყლად ამოიკვნესა. კოლამ უფრო ძლიერად გაჭიმა — კვლავ გაისმა ხმა. კიდევ ერთი გაჭიმვა და გარმონი შუაზე გაიგლიჯა. კოლამ ორივე ნაგლეჯი ბევრი აქნია აქეთ-იქით და ხმა რომ ვეღარ ამოაღებინა, კისერზე შემოიხვია. მე ქუდი ავიღე და თხრილიდან ამოვედი.

შინ ერთად დავბრუნდით. მთელი გზა ბილიკებით მივდიოდით.

დილას მთელმა სოფელმა იცოდა ჩვენი თავგადასავალი.

ამის შემდეგ ჯარისკაცები ფრთხილობდნენ. ხელს არავინ იტაცებდა, პური ისე ცივდებოდა სათონეში, რომ დარაჯი აღარ სჭირდებოდა. კარგა ხნის მერე გავიგე, რომ კოლა ლეგენდად იქცა მეფის არმიაში. „მცხეთაში ისე მოიქცეთ, როგორც გაგებარდებათ, დუშეთშიც, მაგრამ კობიანთკარში კი ფრთხილეთ, იქ ისეთი მძვინვარე ხალხია, რომ მხეცები პატარა ბავშვებსაც კი ფინიებივით დასდევენ უკან“.

კოლა ჩვენი სოფლის გმირი გახდა. ქალები იმღერ თაფლს, ხილს, წაბლსა და თეთრ პურს აძლევდნენ, რომ კოლას შეეძლო ქორწილიც კი გადაეხადა.

ის მეზობლები, რომლებიც ადრე საყვედურებით ავსებდნენ მამაჩემს, ახლა კოლასთან მეგობრობით ამაყობდნენ, თავიანთ სტუმრებს აცნობდნენ და სიცილით კვდებოდნენ, როდესაც სტუმრებს შიშს შეამჩნევდნენ.

ბოლოს მანევრები დამთავრდა და ჯარისკაცები წავიდნენ. კვლავ დადგა მშვიდი დღეები, მაგრამ ისინი მხოლოდ მეორე წლის ზაფხულამდე გაგრძელდა. ზაფხულში კი ორი უჩვეულო ამბავი მოხდა — დაიწყო ომი და ჩამოვიდა ცირკი.

ცირკი ჩვენთან პირველად იყო. იგი ერთ პაპანაქებაში დღეს თბილისიდან სამხედრო გზით ჩამოგრიალდა. ცირკი სამი ვირებშებმული ფორანი იყო. პირველში რამდენიმე ასული და მაიმუნების ბროვა იჯდა. მეორეში ოქროსფერკანიანი ნუმისთვალება კაცი ბურთებითა და დანებით ჟონგლიორობდა. თანაც ფორანი გაჩერებული კი არ იყო — მიჰქროდა. ბოლო ფორანი ბრეზენტით იყო მოფარადაგებული და ზედ საღებავებით ეწერა: „უფრთხილდით, შიგნით ლომია!“ მთელი სოფელი სუნთქვაშეკრული ემზერდა ბრეზენტიან ფორანს, რომელიც რახრახითა და ღრიალით არღვევდა სოფლურ მყუდროებას.

ლომმა რომ გვერდით ჩაგვიარა, კოლამ თავი ასწია, ჰაერი დაყნოსა, დაიმანჭა, შემდეგ კიდევ ერთხელ აღო სუნი და გალიის გამოსაკვლევად დაიპირა წასვლა, მაგრამ არ გაეუშვი. მე მინდოდა კარგად დამეთვალიერებინა ცირკის ბოლო ნაწილი — ორიოდე თხა, სამი ფინია და მტვერში ამოგანგლული კაცი.

ცირკი ნაკადულის მახლობლად, მინდორზე დაბინავდა. წარმოდგენა სამი კაპიკი ღირდა, ლომის ნახვა ერთი კაპიკი, ღრიალის მოსმენა კიდევ ერთი კაპიკი. როგორც კი მთელი დასი გამოეწყო და წარმოდგენისათვის მოემზადა, კოლამ და მე ბილეთები ავიღეთ.

თავში ფრთებგარჯობილი ვირები ათამდე ითვლიდნენ და შეკითხვებზე ყროყინით უპასუხებდნენ. ძაღლები, რომლებსაც ნაოჭებიანი საყელოები ეკეთათ, გაჭიმულ თოკზე დადიოდნენ. მაიმუნები ლოგინში იწვნენ, მაგრამ მალე სერთუკიანი ექიმები—თხები გამოჩნდნენ და წვერების ცანცარით ჩამოურიგეს წამლები. მაიმუნები მაშინვე განკურნენ და ათასგვარი ოინი გვიჩვენეს.

ბოლოს, როცა ყველა ერთდროულად ჩაება საქმეში, მშვინიერი სანახაობა გამოვიდა: ასურელები ერთმანეთს ახტებოდნენ თავზე და მერე მალაყებს აკეთებდნენ, ვირები კასრებს აგორავებდნენ, ძაღლები ფლეტაზე ვალსს ცეკვავდნენ, მაიმუნები თხებს მოასხდნენ ზურგზე და მოედანს შემოურბინეს. გზაზე რგოლები ხვდებოდათ და მაიმუნები ისე მარჯვედ ხტებოდნენ შიგ, რომ კვლავ ასწრებდნენ თხების ზურგზე დასკუპებას. ოქროსფერ ჟონგლიორები დანებს მაღლა ისროდნენ. დანები ჰაერში ტრიალებდა და ელავდა. შემდეგ წვიმასავით მოდიოდა ქვევით. აქ კი ისე იშერდნენ, ხომ ხელს არ იჭრიდნენ. ფლეიტებმა ხმას აუწიეს. კუთხეებში მოვარდისფრო ალი გიზგიზებდა და დღესავით ანათებდა ყველაფერს. გულუხვი ლომი კი მუქთი ღრიალით გვიმასპინძლდებოდა.

მეორე დღეს ალაოზე მივედი ცირკში. კოლას ხათრით, ცირკის პატრონმა, აი იმ მტვერში ამოგანგლულმა კაცმა, უფლება მომცა დავხმარებოდი. სამაგიეროდ დამპირდა, უბილეთოდ შეგიშვებო.

მე შეშასა და წყალს ვეზიდებოდი, ვირებს ვაურვებდი და ლომს დაშაქრულ რძეში პურს ვუყრიდი. საწყალი, უკვე ხანში შედიოდა. ცირკის პატრონმა მითხრა, კბილები ისეც არა აქვს და აი იმ მტვერში ამოგანგლულმა კაცმა, როცა რაიმეს ღეჭავსო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ისე მშვინიერად ღრიალებდა, რომ თმები ყალყზე დაგიდგებოდათ.

— დათვი ძალიან ბევრი მყოლია, — მითხრა ცირკის პატრონმა საუზმობისას, — მე მედათვე ვარო მქვია. ეს პირველად არის, რომ უდათვოდ დავადექი გზას, — მან კოლას თავი მოუხვია და მკითხა — რამდენი წლისაო.

— ექვსის.

— ახალი დათვის შოვნა ძალიან ძნელია. ყველა არ გამოდგება. ჩემი დამბიერდა და მოკვდა. ისეთი პატივით დავკრძალე, რომ ბევრ თავადს შეშურდებოდა. ზოგმა იწყინა, მაგრამ მე ჩემი მოსაზრება მქონდა, მინდოდა როგორც წესი და რიგია ისე გამეშვა ზეცაში.

— განა დათვებიც ზეცაში მიდიან?

ეს გამოცანა დიდიხანია მაწუხებდა, მაგრამ აქამდე ვერ გავბედე, რომ ვინმესათვის მეკითხა.

— თუ არა და, — ვანომ მუქარით აიხედა ზევით, — მაშინ მეც ნუდარ მელით მახდ!

ვანო ცოტა ხანს თავზე უსვამდა კოლას ხელს. შემდეგ მე მომობრუნდა და მკითხა — ჭიდაობა ან ცეკვა თუ იცის?

(დასასრული შემდეგ ნომერში).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 3, 1968 წ.

ჯონ პრისტლი:

მარად მშვენიერი საქართველო...

ახლახან ლონდონში გამოიცა ცნობილი ინგლისელი მწერლის ჯონ პრისტლის წიგნი „მომენტები და შეხვედრები“, რომელშიც ავტორი აღწერს სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს. წიგნის ერთერთი თავი ეძღვნება მწერლის მოგზაურობას საქართველოში 1963 წელს. პრისტლი ღრმა სიმპათიით და გულთბილად იგონებს საქართველოს, აქ გატარებულ დღეებს. მოგვყავს ამ თავის ოდნავ შემოკლებული თარგმანი, რომელიც მაყვალა კუჭუხიძემ მოგვაწოდა:

„ერევნიდან საქართველოს დედაქალაქ თბილისისაკენ გამოვეგზავრე; თუმცა კოლჯში ჩვენ ამ ქალაქს ვეწოდებით. რკინიგზა მთების გაყოლებით მიემართებოდა. ვაგონი იყო ფართო, კეთილმოწყობილი და უფრო სუფთა, ვიდრე ჩვენში. დღემდე შემორჩენილი კარგი ჩვეულების თანახმად, ვაგონში ჩაი მოგვართვეს სამოვრით.

თბილისში გვიან ღამით ჩავედით, მაგრამ სადგურში მწერალთა კავშირის წარმომადგენლები გველოდნენ. გამიტარებია კი მე თუნდაც ერთი საათი ვატერლოოსა ან ლივერპულის ქუჩებში უცხოელი მწერლების მოლოდინში? სამწუხაროდ, არც ერთი.

თბილისი მთებს შორის მდებარეობს. ამ ქვეყნის სხვა ქალაქების მსგავსად, იგიც სწრაფად შენდება, მაგრამ მის მარადმწვანე ქუჩებს მაინც შემორჩენიათ ძველი რომანტიკული იერი. მე ძალიან შემიყვარდა თბილისი და, რასაკვირველია, ქართველები. უსაზღვროა მათი სტუმართმოყვარეობა. მათ შემოინახეს ყანწები-დან სმის ძველი რიტუალი. ცდილობენ სტუმრის სასმისი მუდამ სავსე იყოს, ხშირად ვხვდებოდი ქართველ მწერლებს, წარმოვსთქვამდით მრავალ სადღეგრძელოს. ერთხელ გვიან ღამით, სუფრასთან, ჰამლეტის მონოლოგიც კი წარმოვთქვი. ერთ-ერთი მშვენიერი ლიტერატურული წვეულება გახლდათ ქართველი პოეტის შალვა აფხაიძის ოჯახში. სხვათა შორის, იგი, ისევე როგორც მე, 1894 წელსაა დაბადებული.

ქართველი მამაკაცები ექსპანსიური, მჭერმეტყველი და პოეტური ბუნებისანი არიან, ქალები კი — მშვიდნი და მშვენიერნი. ქართველების რაოდენობა დიდად შემცირდა შუა საუკუნეებში, რადგან ისინი თავგანწირვით ებრძოდნენ მტრებს. დღევანდელი საქართველო ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ქვეყანაა, რომელსაც კი მე ვიცნობ.

ვეწვიე წინანდალს. დიდებულია ალაზნის ველი. ირგვლივ გადაშლილია მწვანე და ოქროსფერი ყანები, ვენახები, კვიპაროსები და ვერხვები, შორს მთებზე კი სოფლები და გაუვალი ტყეები მოჩანს. ყოველივე ეს ღამაზ ხალიჩას მოგაგონებთ.

მთაში მივდიოდით. ნათელი დილა იყო, ნიავიც კი არ ქროდა. აქ შეგეგხვდნენ მგზავრები. არასოდეს ჩემი მეხსიერებიდან არ წაიშლება ამ შეხვედრის შთაბეჭდილება. ახლაც თვალწინ მიდგას იგი. გზის პირას გლეხები შეჯგუფულიყვნენ კოცონის გარშემო. შეექცეოდნენ შამფურზე წამოცმულ ცხვრის ხორცს — ნამდვილ მწვადს, შემწვარ წიწილებს, პამიდორსა და თონის პურს. ტიკებიდან მაჭარს სვამდნენ ფიალებით. დაგვინახეს თუ არა, მიგვიწვიეს. გაისმა ქართული სადღეგრძელოები. სუფრის თამადა წრფელი გონიერი კაცი იყო, ვაჟკაცური შესახედაობის. აღნიშნა ომის საშინელება და მშვიდობის აუცილებლობა. დიდებული სუფრა იყო. მასპინძლების სიყვარულით მეგობრულ თვალებსა და ღიმილსაც თავისი გაჰქონდა. ყველაზე ჭარმაგმა გლეხმა აიღო სიმებიანი საკრავი და იქვე შეთხზა სიმღერა, რომელიც ჩვენ მოგვიძღვნა. 15 წლის ბიჭმა ცეკვა დაიწყო, მას აჰყვა მხიარული მოხუცი ქალი. ტიკიდან კი ღვინო იცლებოდა და იცლებოდა. ყველაფერი იშვიათი და ბუნებრივი იყო. ეს აიხსნება ქართველების უსაზღვრო გულგაშლილობითა და სტუმართმოყვარეობით. შეხვედრა მთაში, სიზმარივით უცნაური, მაგრამ დიდი მნიშვნელობის მქონე, მარად დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

ღამე წინანდალში გავატარეთ. დილით გუაშით ჩავიხატე ეს თვალწარმტაცი ველი. ვინახულე ალავერდის დიდებული ტაძარი, შემდეგ კი ახმეტაში ჩავედით, სადაც ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ მარემ მიგვიწვია. ქართველების სტუმართმოყვარეობა და გულუხვობა ანტიკურ დონეზე დგას, რაც დადა გონიერი კაცი იყო, სავლეთ ევროპას ამ ბოლო საუკუნეების მანძილზე აღარ ახასიათებს, მაგალითად, სტუმრად ვიყავი ცნობილ ქართველ მხატვარ ლადო გუდიაშვილთან, რომელმაც სახელი გაითქვა პარიზში 20-იან წლებში. მისი სამუშაო ოთახის კედლები დაფარულია დიდი ნახატებით. მან შეამჩნია, რომ მე განსაკუთრებით მომეწონა მის მიერ დახატული პატარა, მაგრამ შესანიშნავი სურათი ქართველი პრიმიტივისტი მხატვრის ფიროსმანისა, რომელიც სიღარიბეში მოკვდა, ახლა კი საქვეყნოდაა ცნობილი. გამომშვიდობებისას გუდიაშვილმა ჩამოხსნა ეს სურათი, გადმომცა და მითხრა: „შევამჩნიე, რომ მოგეწონათ ეს სურათი, ახლა იგი თქვენია“. რა იშვიათად ხდება ამდაგვარი რამ ჩვენს პატივცემულ ინგლისელ მხატვართა სტუდიებში!

საქართველოში ბევრი საინტერესო რამ ვნახე. უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში შევხვდი პედაგოგებსა და სტუდენტებს. ვფიქრობ ჩვენ ყველას მოგვეწონა ერთმანეთი.

თვითონ განსაჯეთ:

სად არის „რკინის ფარდა?“

გელაპის ინსტიტუტმა მოაწყო ამერიკის უნივერსიტეტებისა და კოლეჯების 500 სტუდენტის გამოკითხვა საბჭოთა კავშირის შესახებ. სტუდენტებს მისცეს კითხვები საბჭოთა კავშირის ისტორიაზე, გეოგრაფიაზე, სახელმწიფო წყობილებაზე, კულტურაზე.

თავის მხრივ „ახალი ამბების“ საგენტომ ათას საბჭოთა სტუდენტს დაუგზავნა გამოკითხვის ფურცლები იდენტური კითხვებით ამერიკის შეერთებულ შტატებზე.

როგორია ამ თავისებური შეჯიბრების შედეგები?

აი ზოგიერთი მონაცემები, რომლებიც მოყვანილია ჟურნალ „ლუკში“.

ამერიკელ სტუდენტთა 14 პროცენტმა ვერ დაასახელა თავისი არჩევანით საბჭოთა კავშირის რომელიმე ორი ქალაქი. საბჭოთა სტუდენტების დაახლოებით ორმა მესამედმა კი შეძლო სწორად დაესახელებინა შტატები, რომლებშიც ქალაქები ნიუ-იორკი და სანფრანცისკოა.

საბჭოთა სტუდენტების 65 პროცენტმა იცოდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში 50 შტატია, მაგრამ ამერიკელ სტუდენტთა მხოლოდ 6 პროცენტმა იცოდა, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში 15 რესპუბლიკაა. ამერიკელთა მხოლოდ ერთმა პროცენტმა შეძლო სწორად დაესახელებინა სამი მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქები.

საბჭოთა სტუდენტების ორმა მესამედმა ჩამოთვალა მათ მიერ ნანახი ათზე მეტი ამერიკული კინოფილმი. ამერიკელ სტუდენტთა 87 პროცენტს არასოდეს არ უნახავს საბჭოთა ფილმები.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში საბჭოთა სტუდენტების 40 პროცენტს წაუკითხავს ამერიკელ მწერალთა 20-ზე მეტი ნაწარმოები. ამერიკელ სტუდენტთა მხოლოდ 22 პროცენტს წაუკითხავს უკანასკნელ ხუთ წელიწადში რუსი მწერლების 1-2 წიგნი. 39 პროცენტს საერთოდ არ წაუკითხავს არც რუსი, არც საბჭოთა მწერლების წიგნები.

საბჭოთა სტუდენტების 80 პროცენტმა სწორად დაასახელა ავტორი მოთხრობისა „ჭვავში უფსკრულის თავზე“ და ამერიკელ სტუდენტთა მხოლოდ 3 პროცენტმა — „წყნარი დონის“ ავტორი. მეტმა წილმა საბჭოთა სტუდენტებმა ჩამოთვალეს სულ მცირე 15 ამერიკელი ავტორი, რომლებიც უყვართ, აქედან 11 თანამედროვე მწერალი და 4 — გასული საუკუნის მწერალი.

მთლიანად გამოკითხვის მონაცემებმა ცხადყო, რომ საბჭოთა სტუდენტები ამერიკის შეერთებულ შტატებს ბევრად უკეთ იცნობენ, ვიდრე მათი ამერიკელი კოლეგები იცნობენ საბჭოთა კავშირს.

...მაგონდება საუბრები ამერიკელ ჟურნალისტებთან ჩვენს პროფესიაზე, დავა იმაზე, თუ რით იჩენს თავს პრესის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება. ჩვენ ვეთანხმებოდით ერთმანეთს იმაში, რომ სიტყვისა და პრესის თავისუფლების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს ის, თუ რამდენად სწორად და მრავალმხრივ ინფორმირებულია მოსახლეობა საქმის ვითარებაზე თავის ქვეყანაში და საზღვარგარეთ.

თუ ეს ასეა (ხოლო ეს ცხადია, ასეა!), დაგვრჩენია ვიკითხოთ: სად არის „რკინის ფარდა“ — ანტისაბჭოთა პროპაგანდის აჩემებული თემა?

ავთანდილ რუხაძე.

ქართული მოტივები



ჭაშნიკი მარანში.

[illegible]-107

ფ. 23/30

იოსებ ნონეშვილი

არის ასეთი ქვეყანა

ვაზის ძირში დარწეული აკვანი,
სალამურის საამური კვნესა,
გმირობის და უკვდავების ზღაპარი,
ხალხში თქმული რუსთაველის ლექსად.
მამა-პაპის წმინდა სისხლით ნაბანი,
მზის სხივებით ანთებული მარად,
უფსკრულებში ჩანჩქერების ჩქაფანი,
მთებზე თოვლი, ბულბულები — ბარად.

ზოგან ირმების ჯოგია,
ზოგან არწივნი ჰქრიან.
არის ასეთი ქვეყანა, —
მას საქართველო ჰქვია!

თვალტანადი ქალ-ვაჟების ნათქვამი
იავნანა, ურმული და რერო,
სიცოცხლით და სიყვარულით გამთბარი
ვენახები, ყანები და მდელო.
ერთ თხილის გულს ცხრა ძმას ძმურად გაუყოფს,
მას თავისთვის განა მეტი უნდა?..
სურს მოყვარეს გულის კარი გაუღოს,
სახლის კარი ღია არის მუდამ.

„ერი პურადი, გულადი“,
სტუმარს ღვთის კაცად სთვლიან...
არის ასეთი ქვეყანა, —
მას საქართველო ჰქვია!

ურმის ჭალებს შესეული ბავშვები,
ივრის ჭალებს — კაკაბი და გნოლი.
ჩვენს იმედად, მტერთა რისხვად ნაშენი
ძველთაძველი თბილისი და გორი.
დეკემბერში ვარდის გამოშუქება,
ნოემბერში — ნარინჯების ეშხი,
წყალვარდნილებს ელსადგური უხდებათ
და ქარხნების გუგუნია მთებში.

მისი დიდების ამბავი
საუკუნეებს მიაქვთ.
არის ასეთი ქვეყანა, —
მას საქართველო ჰქვია!

აბა ვინ თქვას: თავის მთით და ბარითა
პატარაა საქართველოს მიწა...
მზეს ეხება, ისე მაღლა ავიდა,
იალბუზით მეშვიდე ცას მისწვდა.
აუვსია, რომ დაუხვდეს გაზაფხულს,
ღვინით თასი, ყვავილებით კალთა;
სხვა ოცნება, სხვა დიდება არა სურს
მშობელ ხალხის დღეგრძელობის გარდა.

მის ცაზე მარადისობის
შუქურ-ვარსკვლავნი კრთიან.
არის ასეთი ქვეყანა, —
მას საქართველო ჰქვია!

ძველი ვაზების დაბრუნება

კვლავ გაცოცხლდება მესხეთის მიწაზე

„თამარის ვაზი“, „როკეთულა“, „საფარულა“, „სამარიოგო“ — ეს ნაკლებად ცნობილი ღვინოები მალე პოპულარული გახდება მის დამფასებელთა შორის. ახლა ცნის სანერგეში გამოჰყავთ 30 ათასი ძირი იმ ჯიშების ვაზი, რომლებიც გავრცელებული იყო მესხეთში ხუთი საუკუნის წინათ. ნერგები გადაეცემათ ახალციხის, ასპინძის, ადიგენის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ძველი ჯიშების თავისებური კოლექცია აქვთ აწყურის საბჭოთა მეურნეობაში. პატარა ნაკვეთებზე ვაზები ყოველ წელს იძლევიან მოსავალს: სულ სხვადასხვა ფორმის, ფერისა და ზომის მტევნებს. ამ ყურძნიდან დამზადებული ღვინო არ გავს არც ერთ სხვა ღვინოს. დეგუსტატორებმა მაღალი შეფასება მისცეს ამ ღვინოებს. მაგალითად, მუქი წითელი ღვინო „თამარის ვაზი“, სპეციალისტთა აზრით, ფერმენტებისა და ნატურალური პიგმენტების შედგენილობით პოპულარულ „საფერავზე“ მაღლა დგას.

მესხეთი წარსულში მევენახეობის მაღალი კულტურის მხარე იყო. მაგრამ დამპყრობთა 250 წლის ბატონობამ და მაჰმადიანობის დანერგვამ, რომელიც კრძალავდა ღვინის ხმარებას, სავსებით გააჩანაგა მევენახეობა სამხრეთ საქართველოში. ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების დამლევიდან ქართველმა მეცნიერებმა მიზნად დაისახეს მესხეთში ამ უძველესი დარგის აღორძინება.

დაიწყო დიდი მუშაობა —გადარჩენილი ეგზემპლარების ძებნა, მათი ბიოლოგიის შესწავლა, გაკულტურება, აღორძინებული ჯიშების აგროტექნიკის რეკომენდაციების შედგენა. პარალელურად მესხეთში ინერგებოდა ევროპული ჯიშები — „ქინო“, „ალიგოტე“, ქართული ჯიშები — „ჩინური“, „გორული მწვანე“. ფასდაუდებელია ამ საქმეში პროფესორ მ. რამიშვილის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის დ. ტაბიძის, სხვა მეცნიერთა და პრაქტიკოს აგრონომთა წვლილი.

თავისი სიცოცხლის მეტი ნაწილი მოახმარა ამ კეთილშობილურ საქმეს საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ახალციხის საყურძნე პუნქტის გამგემ შალვა წოქვაძემ. მან აღმოაჩინა ათობით ძველი ვაზი, რომლებმაც კვლავ დაიმკვიდრეს ადგილი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, გლეხთა საყარმიდამო ნაკვეთებზე.

ვაზების ძებნა დაიწყო ძნელად მისადგომ ადგილებში. მაგალითად, „თამარის ვაზი“ შ. წოქვაძემ იპოვა სასაზღვრო მდინარე ფოცხოვის თავზე 1.300 მეტრ სიმაღლეზე აღმართულ ციცაბო კლდეზე. რამდენიმე ათული ბუჩქი გადახლართულა, მათი მძლავრი შტამბები ხის ტანს მოგვაგონებენ.

ხშირ ტყეში საფარულას მთაზე X საუკუნის მიტოვებული მონასტრის ეზოში მეცნიერმა აღმოაჩინა სხვა ჯიში. მას მთის სახელი ეწოდა. სპეციალისტიც კი, რომლისთვისაც ახალი ამბავი არ არის მცენარის „სიცოცხლის უნარიანობა“, შემგუებლობა, გაოცა ამ ამბავმა. ვაზები ჩინებულად გრძნობდნენ თავს 1.700 მეტრ სიმაღლეზე. თუმცა არქეოლოგთა მრავალი „მაღლივი“ ნაპოვნი — ქვევრები, პრიმიტიული საწნახელები და მეღვინეთა სხვა ატრიბუტები მოწმობენ, რომ წარსულში საქართველოს ამ ნაწილში ფართოდ იყო განვითარებული მაღალი მთის მევენახეობა.

შალვა წოქვაძის სანუკვარი ოცნება იყო მისი საყვარელი საქმე განეგრძო ვაჟიშვილს — ავთანდილს. როგორც ჩანს, ოცნება ახდება: ავთანდილი ამთავრებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს და აპირებს სამუშაოდ წავიდეს მშობლიურ მესხეთში.

ტურბაზაში არაგვზე

ფასანაურის მახლობლად, სადაც გადის ჩრდილოეთ კავკასიის მთავარი ტურისტული მარშრუტი, დიდი გზის შემდეგ მოგზაურობის მოყვარულნი შეძლებენ სრული კომფორტით დაბინავდნენ. თანამედროვე ფორმების ხუთსართულიან კორპუსში, რომლის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს, მოთავსდება 400-მდე მეტი კაცი. ოთახები გათვალისწინებულია ორი-სამი კაცისათვის.

ახლომდებარე მთებში ან ხმაურიანი არაგვის ნაპირზე სერინობის შემდეგ ტურისტებს შეუძლიათ დაისვენონ კინოთეატრში, სამკითხველო დარბაზში, კაფეში ან ბარში. შენობის ფასადის მთელ სიგრძეზე დაპროექტებულია დახურული ტერასა დასვენებისათვის, საიდანაც მოჩანს მდინარე.

ამ პირველხარისხოვანი ნაგებობის ყველა ღირსებას, რომელიც შეასრულეს თბილისის ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის არქიტექტორებმა გ. კარსანიძემ, გ. დოლაძემ, დ. ცხაკაიამ და ა. ბახტაძემ, ტურისტები შეაფასებენ 1969 წელს.

დაგეძებენ, მოგელიან

გრიგოლ მელიტონის-ძე ყავლაშვილს, დაბადებულს 1908 წელს, ჭიათურის რაიონის სოფელ ზედაუბანში, ეძებენ დედა — ელანტია, შვილები — გივი და ზურაბ ყავლაშვილები.

ზაქარია დავითის-ძე ოქროპირიძეს, ეძებს შვილი — გურამ ზაქარიას-ძე ოქროპირიძე.

სურათზე: გრიგოლ ყავლაშვილი.



მოისმინეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე უოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის უოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

მისამართი:

თბილისი, ზ. ათონელის ქ. № 26.